

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....7
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....10
2. მომზადების საფუძველი11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....14
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა16
5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი21
6. სხვა შემოსავალი21
7. პერსონალის ხარჯები21
8. სხვა საოპერაციო ხარჯები.....22
9. გადავადებული საგადასახადო აქტივი.....22
10. ფული და ფულის ეკვივალენტები23
11. გაცემული სესხები24
12. სხვა აქტივები28
13. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები.....29
14. იჯარები29
15. ძირითადი საშუალებები30
16. მიღებული სესხები31
17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები33
18. შეწყვეტილი ოპერაციები.....33
19. საწარმოთა გაერთიანება34
20. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები35
21. პირობითი ვალდებულებები35
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან36
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....37
24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....37

მმართველობის ანგარიშგება52

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ ხელმძღვანელობასა და აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალისა“ და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებულ წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა კონსოლიდირებული განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმაზე, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-720718**)

გარიგების პარტნიორი
 შპს „ბიდიო აუდიტი“
 თბილისი, საქართველო
 17 მაისი, 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ ხელმძღვანელობასა და აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალისა“ და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა კონსოლიდირებული განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმაზე, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოვავქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვეველობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი **SARAS-A-720718**)

გარიგების პარტნიორი

შპს „ბიდიო-აუდიტი“
თბილისი, საქართველო

17 მაისი, 2021

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
საპროცენტო შემოსავალი	5	30,553	28,191
საპროცენტო ხარჯი	5	(7,653)	(5,130)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		22,900	23,061
სესხის გაუფასურების ხარჯი	11	(2,132)	(3,490)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		20,768	19,571
სხვა შემოსავალი	6	2,974	2,163
წმინდა მოგება (ზარალი) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან		(102)	99
პერსონალის ხარჯი	7	(7,280)	(6,625)
ცვეთა და ამორტიზაცია	14, 15	(1,552)	(1,563)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,358)	(5,176)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(184)	(488)
მოგება დაბეგრამდე		10,266	7,981
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,429)	(1,897)
წლის წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		8,837	6,084
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	18	720	(875)
მთლიანი სრული შემოსავალი		9,557	5,209

*წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 17 მაისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ გივი კერესელიძე

ფინანსური დირექტორი _____ ლევან ფანჩულიძე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს


(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
საპროცენტო შემოსავალი	5	30,553	28,191
საპროცენტო ხარჯი	5	(7,653)	(5,130)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		22,900	23,061
სესხის გაუფასურების ხარჯი	11	(2,132)	(3,490)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		20,768	19,571
სხვა შემოსავალი	6	2,974	2,163
წმინდა მოგება (ზარალი) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან		(102) ✓	99
პერსონალის ხარჯი	7	(7,280)	(6,625)
ცვთა და ამორტიზაცია	14, 15	(1,552)	(1,563)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,358)	(5,176)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(184)	(488)
მოგება დაბეგრამდე		10,266	7,981
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,429)	(1,897)
წლის წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		8,837	6,084
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	18	720	(875)
მთლიანი სრული შემოსავალი		9,557	5,209

*წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2021 წლის 17 მაისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



გივი კერესელიძე

ფინანსური დირექტორი



ლევან ფანჯულიძე

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	8,888	5,362
გაცემული სესხები	11	98,159	90,113
ფინანსური ლიზინგი		77	307
სხვა აქტივები	12	840	619
საგადასახადო აქტივები	13	413	200
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	1,347	1,627
არამატერიალური აქტივები		307	329
აქტივების გამოყენების უფლება	14	5,717	5,517
ძირითადი საშუალებები	15	864	823
მთლიანი აქტივები		116,612	104,897
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	55,887	52,603
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით		159	-
საიჯარო ვალდებულებები	14	6,423	6,055
სხვა ვალდებულებები		442	838
მთლიანი ვალდებულებები		62,911	59,496
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	4,175	4,175
საემისიო კაპიტალი	17	2,068	2,068
გაუნაწილებელი მოგება		47,458	39,158
მთლიანი კაპიტალი		53,701	45,401
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		116,612	104,897

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	4,175	2,068	36,319	42,562
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	5,209	5,209
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	-	(2,370)	(2,370)
31 დეკემბერი 2019	4,175	2,068	39,158	45,401
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	9,557	9,557
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	-	(1,257)	(1,257)
31 დეკემბერი 2020	4,175	2,068	47,458	53,701

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

	<u>2020</u>	<u>2019</u>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	24,074	27,400
თანხები მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან და ფინანსური ლიზინგიდან	108,522	84,604
მიღებული ჯარიმები	1,710	1,903
მომხმარებლებზე სესხების გაცემა	(109,200)	(88,307)
გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები	(6,322)	(7,477)
გადახდილი ხელფასები	(5,235)	(4,763)
სხვა შემოსავალი	2,761	2,708
სხვა გასავალი	(611)	(1,714)
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	135	170
გადახდილი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(1,884)	(1,996)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,489)	(1,941)
გადახდილი პროცენტი	(7,277)	(4,393)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	<u>5,195</u>	<u>6,194</u>
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა	-	14
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(644)	(254)
გაცემული სესხების პორტფელის შეძენა	(2,868)	(22,908)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(3,512)</u>	<u>(23,148)</u>
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები თამასუქების გარეშე	37,247	26,883
გადახდილი სესხები თამასუქების გარეშე	(30,207)	(6,756)
თამასუქებით შემოსული თანხა	700	300
გადახდილი თამასუქები	(3,887)	(2,089)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(1,362)	(783)
გადახდილი დივიდენდები	(1,257)	(2,370)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	<u>1,223</u>	<u>15,185</u>
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	<u>2,906</u>	<u>(1,769)</u>
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	5,362	6,965
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	620	166
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	<u>8,888</u>	<u>5,362</u>

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2009 წლის მარტში, საქართველოში, თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №34. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205274273.

კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილებს:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	31 დეკემბრისთვის მაკონტროლებელი წილის ოდენობა	
		2020	2019
შპს „სვის კაპიტალ გრუპი“	საქართველო	100%	100%
შპს „სვის კაპიტალ პლუსი“	საქართველო	-	100%
შპს „სვის კაპიტალ ავტო“	საქართველო	-	100%
შპს „სვის კაპიტალ ფროფერტი“	საქართველო	-	100%

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალისა“ და მისი შვილობილების ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის მიზანია გახდეს ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური სამომხმარებლო სესხები, ოქროთი, ავტო ტრანსპორტით და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები.

2020 წლისთვის კომპანიასა და მის შვილობილებს (შემდგომში „ჯგუფი“) საქართველოს მასშტაბით აქვთ სათავო ოფისი და 19 ფილიალი (2018: სათავო ოფისი და 18 ფილიალი).

კომპანიას ჰყავს შემდეგი აქციონერები:

აქციონერები	31 დეკემბერი 2020, %	31 დეკემბერი 2019, %
სს „სვის ჰოლდინგს“	48.60%	48.60%
ეიალ ელბოიმი	30.00%	37.00%
ამირ იოელი	17.00%	10.00%
ალონ ბეჩორი	2.40%	2.40%
პაატა დაიაური	2.00%	2.00%
	100.00%	100.00%

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აკონტროლებს სამი პიროვნება: დავიდ ბეჩორი, რომელიც ფლობს სს „სვის ჰოლდინგსის“ აქციების 61%-ს, რონენ ბეჩორი, რომელიც ფლობს „Bechor Brother A.R. holdings-ს“, რომელიც ფლობს სს „სვის ჰოლდინგსის“ წილის 39%-ს და ეიალ ელბოიმი. ამ პიროვნებებს აქვთ ძალაუფლება საკუთარი შეხედულებებისა და პირადი სარგებლისათვის მართონ ჯგუფის ოპერაციები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

ჯგუფი ოპერაციებს აღრიცხავს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობაზე.

COVID-19-ის გავლენა

COVID-19 გლობალური პანდემიის ეფექტი 2020 წელს გავრცელდა მრეწველობის ფართო სეგმენტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები პანდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის მკაცრი იზოლაცია, კარანტინი, ბიზნესების დროებითი დახურვა და მომხმარებლებთან თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა.

მოთხოვნის შემცირებამ საქონელსა და მომსახურებაზე, კაპიტალის გაუმჯობესებისა და შმენებლობის ინვესტიციების ნაკლებობამ, საქონლისა და ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების შემცირებამ, კაპიტალისა და სასესხო ინსტრუმენტების და გლობალური ჯაჭვის მოშლით იმოქმედა ბიზნესის ყველა სექტორზე.

ამის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ შემოიღო დამხმარე ზომები, რომლებიც მოიცავდა დაზარალებული პირებისა და ბიზნესების სესხების სუბსიდირებას, გამსესხებელი პირების (ძირითადად კომერციული ბანკები) მხრიდან შეღავათების შეთავაზებას სესხის დაფარვებზე და სხვა, რომლის მიზანიც იყო COVID-19 გლობალური პანდემიის დაზიანების შემსუბუქებას საქართველოს ეკონომიკისთვის

ჯგუფი მუდმივად აფასებს COVID-19 გლობალური პანდემიის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილები არიან კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმოები. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კომპანია აკეთებს იმ ინვესტირებული საწარმოების კონსოლიდაციას, რომლებსაც აკონტროლებს დე ფაქტო გარემოებების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილების ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

კომპანიის მნიშვნელოვანი შვილობილები, რომლებიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არიან:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	31 დეკემბრისთვის მაკონტროლებელი წილის ოდენობა	
		2020	2019
შპს „სვის კაპიტალ გრუპი“	საქართველო	100%	100%
შპს „სვის კაპიტალ პლუსი“	საქართველო	-	100%
შპს „სვის კაპიტალ ავტო“	საქართველო	-	100%
შპს „სვის კაპიტალ ფროფერთი“	საქართველო	-	100%

კომპანია სრულად იღებს შვილობილების შემოსავლებს და აკონტროლებს მათ წმინდა აქტივებსა და საოპერაციო აქტივობებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა გაასხვისა შემდეგი შვილობილი კომპანიები: შპს „სვის კაპიტალ პლუს“, შპს „სვის კაპიტალ ავტო“ და შპს „სვის კაპიტალ ფროფერთი“, ხოლო შპს „სვის კაპიტალ გრუპი“-ს არ გააჩნდა აქტივები და ვალდებულებები, ასევე არ ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობას.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);

2020 წლის 1 იანვრის ძალაში შევიდა ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

(ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

(ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და

(გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შეიძლება აღრიცხულ იქნას გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა. დათმობების აღრიცხვისას მოიჯარეები იყენებენ ფასს 16-ის სხვა მოთხოვნებს.

ჯგუფმა აირჩია გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა საიჯარო ქირის ყველა დათმობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. ჯგუფმა გამარტივებული დათმობა გამოიყენა რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოყენებულია ყველა დათმობაზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს 2020 წლის მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა რომ მომხდარიყო, როგორც საიჯარო მოდიფიკაციები, ჯგუფს მოუწევდა საიჯარო ვალდებულებების თავიდან შეფასება, ანაზღაურებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, განახლებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, აქტივების გამოყენების უფლებაში შესაბამისი ეფექტის გათვალისწინებით. გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ჯგუფი არ არის ვალდებული შეაფასოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და შედეგად საიჯარო ვალდებულების ცვლილების ეფექტი აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მოვლენა ან პირობები, რომელიც იწვევს საიჯარო ქირის დათმობას.

გამარტივებული მიდგომის ეფექტი დეტალურად წარმოდგენილია მე-14 და მე-6 შენიშვნაში.

სხვა სტანდარტები

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა სტანდარტები

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება. ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

ჯგუფმა გაითვალისწინა COVID-19 გლობალური პანდემიის გავლენა მათი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფი არ იყო ვალდებული ჩართულიყო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მხარდაჭერის ღონისძიებებში, მაგრამ საკუთარი ნებით შესთავაზა მის მომხმარებლებს საშეღავათო პირობები, რომელიც მოიცავდა საპროცენტო გადასახდელის გადავადებას და სესხის ვადიანობის ცვლილებას. გაცემული შეღავათების უმეტესი ნაწილი მოიცავდა პირველი რამოდენიმე თვის პროცენტის გადახდის გადავადებას, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი კი მოიცავდა სესხის ვადიანობის ცვლილებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ჯგუფმა გადახედა ცვლილებებს და მიიჩნია, რომ მათ არ გამოუწვევიათ სესხის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა იქიდან გამომდინარე, რომ ამ სესხების უმეტესი ნაწილი დაიფარა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო დარჩენილ ნაწილზე კი გაანალიზა მათი ვადაგადაცილებები.

ამ სესხების არაარსებითი მოდიფიკაციის ეფექტი აღიარებულია 2020 წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 309 ათასი ლარის ოდენობით.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები. იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს ჯგუფის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ ჯგუფის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება.

დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სფეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

გადასახადები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და განაგრძობს, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, რომ ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, ჯგუფი მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სასამართლო დავები. ჯგუფი ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე ჯგუფის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკების მართვა ფუნდამენტურია ბიზნესისათვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - სავალუტო რისკი.

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, ჯგუფს გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც ჯგუფს წარმოექმნება რისკები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,888	5,362
გაცემული სესხები	98,159	90,113
ფინანსური ლიზინგი	77	307
სხვა ფინანსური აქტივები	425	165
მიღებული სესხები	55,887	52,603
სხვა ფინანსური ვალდებულებები	307	709
საიჯარო ვალდებულებები	6,423	6,055

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო, კომიტეტებთან ერთად, პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ჯგუფში ხდება, როგორც გარე, ასევე შიდა რისკ-ფაქტორების გამოვლენა და მათი მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების სრული პაკეტის იდენტიფიცირებას და მოკლევადიანი რისკების გადასაჭრელად დაგეგმილი პროცედურების სანდოობის შემოწმებას. გარდა სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, ხელმძღვანელობა აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს საოპერაციო დანაყოფებთან მუდმივი შეხვედრებითა და სხვადასხვა ექსპერტების პროფესიონალურ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ჯგუფის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებად.

პოლიტიკის მიხედვით, კომიტეტის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია სასესიო განაცხადის სახეობისა და სიდიდის მიხედვით.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისო-ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსების ან არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესიო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

დასაფინანსებელი ბიზნესების სრულყოფილი მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფულადი ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცერები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები რეგულარულად წარედგინება უმაღლეს მენეჯმენტს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ კრედიტ რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	6,353	5,361
გაცემული სესხები	98,159	90,113
ფინანსური ლიზინგი	77	307
სხვა ფინანსური აქტივები	425	165
	105,014	95,946

ჯგუფის საკრედიტო განყოფილება აკეთებს გაცემული სესხების ვადაგადაცილების ანალიზს. გაცემული სესხების ვადაგადაცილებასა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოცემულია მე-11 და 24-ე შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების გამო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ჯგუფის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები	98,236	90,420
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	62,310	58,658
	35,926	31,762

ინფორმაცია საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის წარმომშობ ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ, ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ შენიშვნებში.

ჯგუფი აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს.

ჯგუფის საპროცენტო შემოსავლის მომტანი ყველა აქტივი და საპროცენტო ხარჯის წარმომშობი ყველა ვალდებულება წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, გარდა რამოდენიმე სესხისა. ამ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება არის 46,637 ათასი ლარი (2019: 32,000 ათასი ლარი).

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალზე ექნება 466 ათასი ლარის ეფექტი (2019: 320 ათასი ლარი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,852	5,036	8,888
გაცემული სესხები	93,217	4,942	98,159
ფინანსური ლიზინგი	77	-	77
სხვა ფინანსური აქტივები	425	-	425
	97,571	9,978	107,549
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	49,635	6,252	55,887
სხვა ფინანსური ვალდებულებები	307	-	307
საიჯარო ვალდებულებები	170	6,253	6,423
	50,112	12,505	62,617
ღია საბალანსო პოზიცია	47,459	(2,527)	44,932

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,026	3,336	5,362
გაცემული სესხები	83,537	6,576	90,113
ფინანსური ლიზინგი	307	-	307
სხვა ფინანსური აქტივები	165	-	165
	86,035	9,912	95,947
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	42,329	10,274	52,603
სხვა ფინანსური ვალდებულებები	709	-	709
საიჯარო ვალდებულებები	137	5,918	6,055
	43,175	16,192	59,367
ღია საბალანსო პოზიცია	42,860	(6,280)	36,580

ფორვარდული კონტრაქტების ძირითადი თანხა წარმოადგენდა 5,000 (1,526 აშშ დოლარი) ათასს ლარსა და 3,509 (1,224 აშშ დოლარი) ათასს ლარს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძობელობას აშშ დოლარისა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასების ეფექტი კონსოლიდირებულ სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ვალუტის კურსის მგრძობელობა	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	+20%	-20%	+20%	-20%
დოლარის ეფექტი	(505)	505	(1,256)	1,256
	(505)	505	(1,256)	1,256

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როცა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს. ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და მათი მისაღები და გასაცემი პროცენტების შესაბამისობა არის ლიკვიდურობის მართვის ფუნდამენტური პრინციპი. როგორც წესი ფინანსური ინსტიტუტებისთვის უჩვეულოა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების სრული შესაბამისობა, რადგან ბიზნეს ტრანზაქციები ხშირად თავის თავში მოიცავს გაურკვეველ პირობებს. შეუსაბამო ლიკვიდურობის პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც გაზრდილი მომგებიანობა, ასევე გაზრდილი ზარალის რისკი.

ჯგუფი ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას და უზრუნველყოფს, რომ თანხები ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი და დროულად დაიფაროს ყველა მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკას მიმოიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ჯგუფი ცდილობს მოახდინოს ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიკაცია, რომელიც მოიცავს სესხებს ბანკებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და ფიზიკური პირებისგან თამასუქების სახით. აღნიშნული დივერსიფიკაცია ჯგუფს ესაჭიროება იმისთვის, რათა უმტკივნეულოდ უპასუხოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის სამართავად ჯგუფი რეგულარულად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესი. ლიკვიდურობის მდგომარეობას აკონტროლებს ფინანსური დეპარტამენტი. ნორმალურ საბაზრო სიტუაციაში ლიკვიდურობის მდგომარეობაზე ინფორმაცია პერიოდულად წარედგინება ხელმძღვანელობას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ინფორმაცია დაფუძნებულია ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	665	27,716	27,506	55,887
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	307	-	307
საიჯარო ვალდებულებები	99	1,337	6,420	7,856
	764	29,360	33,926	64,050

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1-12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	864	15,365	36,374	52,603
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	709	-	709
საიჯარო ვალდებულებები	117	1,283	6,009	7,409
	981	17,357	42,383	60,721

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ) და მსესხებლების მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- გამოიმუშაოს ჯგუფის აქციონერებისთვის თანაბარზომიერი სარგებელი.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ჯგუფი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები, შესაბამისად.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი		
გაცემული სესხები	30,228	27,929
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	193	136
პარტნიორებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	132	126
	30,553	28,191
საპროცენტო ხარჯი		
მიღებული სესხები	(7,287)	(4,703)
საიჯარო ვალდებულებები	(366)	(427)
	(7,653)	(5,130)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	22,900	23,061

6. სხვა შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი ჯარიმებიდან და სესხის საკომისიოდან	2,138	1,945
აქტივების გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	513	-
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალი	97	79
იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები	90	-
ჯარიმები სხვა ოპერაციებიდან	-	100
სხვა	136	39
	2,974	2,163

7. პერსონალის ხარჯები

	2020	2019
საოპერაციო პერსონალის ხელფასი და სხვა სარგებელი	(3,685)	(3,339)
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი და სხვა სარგებელი	(3,595)	(3,286)
	(7,280)	(6,625)

კომპანიაში საშუალოდ იყო დასაქმებული 317 და 277 თანამშრომელი 2020 და 2019 წლების პერიოდში, შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

('000 ლარში)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
მარკეტინგი და რეკლამა	(1,118)	(1,540)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება*	(899)	(1,899)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(479)	(388)
პორტფელის გაყიდვა	(420)	-
საოფისე მარაგების ხარჯები	(346)	(256)
საბანკო ხარჯი	(222)	(183)
მიმდინარე შეკეთების ხარჯი	(117)	(214)
ჩამორთმეული აქტივების გაუფასურება	-	(117)
დაზღვევა	(134)	(108)
უსაფრთხოება	(82)	(61)
საწვავი	(71)	(88)
მივლინება	(11)	(51)
გაყიდული საქონლის ჩამოწერა	-	(19)
სხვა	(459)	(252)
	(4,358)	(5,176)

*აუდიტორული მომსახურების ხარჯმა შეადგინა 56 ათასი ლარი (2019: 54 ათასი ლარი).

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	2020	2019
1 იანვარი	1,627	1,981
აღიარებული მოგება ან ზარალი		
საგადასახადო სარგებელი (ხარჯი)	(280)	(354)
31 დეკემბერი	1,347	1,627

დროებითი სხვაობები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	აქტივები	ვალდებულებებ	ნეტო	აღიარებულ
	2020	2020	2020	ი მოგებაში
				ან ზარალში
				2020
გაცემული სესხები	1,178	-	1,178	(392)
ფინანსური ლიზინგი	14	-	14	(5)
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	-	5	1
ძირითადი საშუალებები	-	(90)	(90)	(19)
არამატერიალური აქტივები	19	-	19	9
მიღებული სესხები	17	-	17	3
სხვა ვალდებულებები	54	-	54	53
აქტივების გამოყენების უფლება	-	(813)	(813)	15
საიჯარო ვალდებულებები	963	-	963	55
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	2,250	(903)	1,347	(280)
გადასახადის გადაფარვა	(903)	903	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	1,347	-	1,347	(280)

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი (გაგრძელება)

დროებითი სხვაობები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	აქტივები	ვალდებულებები	ნეტო	აღიარებული მოგებაში ან ზარალში
	2019	2019	2019	2019
გაცემული სესხები	1,570	-	1,570	(249)
ფინანსური ლიზინგი	19	-	19	(192)
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	-	4	(1)
ძირითდი საშუალებები	-	(71)	(71)	19
არამატერიალური აქტივები	10	-	10	7
მიღებული სესხები	14	-	14	(7)
სხვა ვალდებულებები	1	-	1	-
სხვა აქტივები	-	-	-	(11)
აქტივების გამოყენების უფლება	-	(828)	(828)	(828)
საიჯარო ვალდებულებები	908	-	908	908
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	2,526	(899)	1,627	(354)
გადასახადის გადაფარვა	(899)	899	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	1,627	-	1,627	(354)

მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
მიმდინარე გადასახადი	(1,149)	(1,532)
დროებითი სხვაობების ეფექტი	(280)	(354)
	(1,429)	(1,886)

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადებს შორის:

	2020	2019
მოგება დაბეგრამდე	9,723	8,239
მოგების გადასახადის პროცენტი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(1,458)	(1,236)
მუდმივი სხვაობების წარმოქმნა და ამობრუნება	29	(650)
	(1,429)	(1,886)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული გზაში*	-	474
ნაღდი ფული	2,535	1
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	6,386	4,912
შემცირებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვით**	(33)	(25)
	8,888	5,362

*2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა განახორციელა ნაღდი ფულის ინკასაცია, მაგრამ ბანკში თანხა შეიტანა მხოლოდ 2020 წლის 3 იანვარს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

**ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ფასს 9-ის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

11. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირი	105,731	97,160
პროცენტი	5,834	4,775
გაუფასურების ანარიცხი	(13,406)	(11,822)
	98,159	90,113

გაცემული სესხები ოდენობით 52,287 ათასი ლარი და 47,078 ათასი ლარი გირავნობით იყო დატვირთული შესაბამისი მიღებული სესხებისთვის 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მოლიანი თანხა	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	მოლიანი ECL
უძრავი ქონებით ზრუნველყოფილი სესხები	12,016	(326)	(170)	(1,019)	(1,515)
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	70,888	(1,893)	(360)	(6,294)	(8,547)
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	25,206	(510)	(15)	(230)	(755)
სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები	3,455	(44)	(109)	(2,436)	(2,589)
	111,565	(2,773)	(654)	(9,979)	(13,406)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მოლიანი თანხა	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	მოლიანი ECL
უძრავი ქონებით ზრუნველყოფილი სესხები	11,538	(251)	(45)	(490)	(786)
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	62,459	(2,348)	(201)	(5,432)	(7,981)
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	23,441	(517)	(23)	(138)	(678)
სხვა არაუზრუნველყოფილი სესხები	4,497	(144)	(66)	(2,167)	(2,377)
	101,935	(3,260)	(335)	(8,227)	(11,822)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	მოლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
- არა ვადაგადაცილებული	9,248	(315)	8,933	3%
- 1-30 დღე ვადაგადაცილება	586	(114)	472	19%
- 31-60 დღე ვადაგადაცილება	169	(123)	46	73%
- 61-90 დღე ვადაგადაცილება	75	(39)	36	52%
- 90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,938	(924)	1,014	48%
	12,016	(1,515)	10,501	13%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

აეტომობილით უზრუნველყოფილი სესხები

	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	55,215	(1,787)	53,428	3%
-30 დღე ვადაგადაცილება	4,465	(429)	4,036	10%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	647	(204)	443	32%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	350	(161)	189	46%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	10,211	(5,966)	4,245	58%
	70,888	(8,547)	62,341	12%

ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები

	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	21,356	(547)	20,809	3%
-1-30 დღე ვადაგადაცილება	1,980	(67)	1,913	3%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	628	(27)	601	4%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	181	(8)	173	4%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,061	(106)	955	10%
	25,206	(755)	24,451	3%

არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები

	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	537	(75)	462	14%
-1-30 დღე ვადაგადაცილება	40	(18)	22	45%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	91	(90)	1	99%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	35	(27)	8	77%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	2,752	(2,379)	373	86%
	3,455	(2,589)	866	75%

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები

	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	9,914	(340)	9,574	3%
-1-30 დღე ვადაგადაცილება	444	(37)	407	8%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	144	(30)	114	21%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,036	(379)	657	37%
	11,538	(786)	10,752	7%

აეტომობილით უზრუნველყოფილი სესხები

	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	48,927	(2,178)	46,749	4%
-1-30 დღე ვადაგადაცილება	3,909	(391)	3,518	10%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	455	(117)	338	26%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	297	(117)	180	39%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	8,871	(5,178)	3,693	58%
	62,459	(7,981)	54,478	13%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

<i>ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები</i>	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
- არა ვადაგადაცილებული	19,665	(491)	19,174	2%
- 1-30 დღე ვადაგადაცილება	1,610	(43)	1,567	3%
- 31-60 დღე ვადაგადაცილება	704	(18)	686	3%
- 61-90 დღე ვადაგადაცილება	273	(7)	266	3%
- 90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	1,189	(119)	1,070	10%
	23,441	(678)	22,763	3%

<i>არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები</i>	მთლიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
- არა ვადაგადაცილებული	1,778	(143)	1,635	8%
- 1-30 დღე ვადაგადაცილება	180	(59)	121	33%
- 31-60 დღე ვადაგადაცილება	73	(38)	35	52%
- 61-90 დღე ვადაგადაცილება	81	(50)	31	62%
- 90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	2,385	(2,087)	298	88%
	4,497	(2,377)	2,120	53%

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
1 იანვარი 2020	3,260	335	8,227	11,822
ახალი გაცემული სესხები	3,469	-	-	3,469
გადატანა პირველ ეტაპზე	330	(330)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(4,001)	4,001	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(4,002)	4,002	-
დაფარული სესხები	(1,770)	(127)	(1,601)	(3,498)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(923)	(923)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	242	242
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	1,485	777	32	2,294
31 დეკემბერი 2020	2,773	654	9,979	13,406

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
1 იანვარი 2019	3,091	742	7,104	10,937
ახალი გაცემული სესხები	3,945	-	-	3,945
სხვა აქტივების გაუფასურება (მე-12 შენიშვნა)	-	-	1,428	1,428
გადატანა პირველ ეტაპზე	225	(225)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(2,902)	2,934	(32)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(3,229)	3,229	-
დაფარული სესხები	(328)	(215)	(568)	(1,111)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,362)	(2,362)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	542	542
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	(771)	328	314	(129)
31 დეკემბერი 2019	3,260	335	9,655	13,250

გაცემული სესხების მთლიან თანხებში ცვლილება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
1 იანვარი 2020	84,879	2,600	14,456	101,935
ახალი გაცემული სესხები	170,035	-	-	170,035
გადატანა პირველ ეტაპზე	9,371	(9,371)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(25,675)	25,675	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(10,182)	10,182	-
დაფარული სესხები	(149,016)	(5,059)	(5,747)	(159,822)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(1,580)	(1,580)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	242	242
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	267	27	461	755
31 დეკემბერი 2020	89,861	3,690	18,014	111,565

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების მთლიან თანხებში ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
1 იანვარი 2019	57,112	3,512	12,437	73,061
ახალი გაცემული სესხები	111,729	-	-	111,729
გადატანა პირველ ეტაპზე	3,388	(3,388)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(11,114)	11,209	(95)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(6,798)	6,798	-
დაფარული სესხები	(76,294)	(1,940)	(2,956)	(81,190)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,309)	(2,309)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	542	542
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	58	5	39	102
31 დეკემბერი 2019	84,879	2,600	14,456	101,935

ძირითადი ფაქტორები, რომელსაც ჯგუფი ითვალისწინებს გაცემული სესხების გაუფასურებაში არის მათი ვადაგადაცილების სტატუსი, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და უზრუნველყოფილი აქტივის საიმედოობა, არსებობის შემთხვევაში. გაცემული სესხების გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

12. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გადახდილი ავანსი	306	195
დროებით დასაკუთრებული ქონება	109	259
მოთხოვნა სს „ზიპ კრედიტის“ მიმართ	-	1,314
სს „ზიპ კრედიტის“ მიმართ მოთხოვნის რეზერვი	-	(1,314)
უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის*	250	-
სხვა მოთხოვნები	175	279
სხვა მოთხოვნების გაუფასურება	-	(114)
	840	619

*სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციური ვალუტისა. როდესაც კომპანიის რისკი ითვლება მნიშვნელოვნად, კომპანიის ხაზინა შევა აშშ დოლარი/ლარის სვოპ კონტრაქტში, სს „საქართველოს ბანკთან“ და სს „თიბისი ბანკთან“. უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის წარმოადგენს ფულად უზრუნველყოფას რომელიც გადარიცხულია ბანკისთვის კონტრაქტის ვადის გასვლამდე.

ფორვარდული კონტრაქტების ძირითადი თანხა წარმოადგენდა 5,000 (1,526 აშშ დოლარი) ათასს ლარსა და 3,509 (1,224 აშშ დოლარი) ათასს ლარს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულებების ცვლილებიდან მიღებულმა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 102 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის მოგებამ 99 ათასი ლარი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

13. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 413 ათასი ლარის და 200 ათასი ლარი აქტივი, შესაბამისად.

14. იჯარები

ჯგუფი საქართველოს ფარგლებში ქირაობს სათავო ოფისს, მიწის ნაკვეთს, საწყობსა და 19 ფილიალს (2019: 18 ფილიალი). ამ ფართების იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია აშშ დოლარსა და ლარში.

იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 2-იდან 10 წლამდე 2020 წლისათვის, აშშ დოლარისა და ლარის ნომინირების შესაბამისად (2019: 2-10 წელი აშშ დოლარი, 2-5 წელი ლარი).

იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2020 წლისათვის შეადგენდა 6.24%-7.91% და 10.77%-12.36% აშშ დოლარსა და ლარში ნომინირების შესაბამისად (2019: აშშ დოლარი 6.24%-8.05%, ლარი 12.36%-12.93%)

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ფილიალები	სხვა	სულ
1 იანვარი 2019	3,253	402	3,655
შემოსვლა, საწარმოთა გაერთიანების ჩათვლით (იხილეთ მე-19 შენიშვნა)	2,517	380	2,897
ცვეთა	(892)	(143)	(1,035)
31 დეკემბერი 2019	4,878	639	5,517
შემოსვლა	2,080	-	2,080
ცვეთა	(869)	(155)	(1,024)
იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი	(856)	-	(856)
31 დეკემბერი 2020	5,233	484	5,717

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	ფილიალები	სხვა	სულ
1 იანვარი 2019	3,253	402	3,655
შემოსვლა, საწარმოთა გაერთიანების ჩათვლით (იხილეთ მე-19 შენიშვნა)	2,517	380	2,897
საპროცენტო ხარჯი	376	51	427
საიჯარო გადასახდელი	(1,037)	(173)	(1,210)
კურსთაშორისი სხვაობა	256	30	286
31 დეკემბერი 2019	5,365	690	6,055
შემოსვლა	2,080	-	2,080
საპროცენტო ხარჯი	314	52	366
საიჯარო გადასახდელი	(1,549)	(179)	(1,728)
საიჯარო შეღავათები	(54)	(36)	(90)
იჯარის მოდიფიკაციის ეფექტი	(896)	-	(896)
კურსთაშორისი სხვაობა	550	86	636
31 დეკემბერი 2020	5,810	613	6,423

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

14. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<3 თვე	3 - 12 თვე	1 - 2 წელი	2 - 5 წელი	>5 წელი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	296	1,140	1,699	3,607	1,114	7,856

საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<3 თვე	3 - 12 თვე	1 - 2 წელი	2 - 5 წელი	>5 წელი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	350	1,050	1,400	3,280	1,329	7,409

15. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	ავტომობილები	ავეჯი	IT მოწყობილობები	იჯარის გაუმჯობესება	სულ
31 დეკემბერი 2018	109	217	443	809	487	2,065
შემოსვლა	-	25	41	161	47	274
გასვლა	-	(41)	-	-	(18)	(59)
31 დეკემბერი 2019	109	201	484	970	516	2,280
შემოსვლა	-	26	286	193	39	544
გასვლა	-	(40)	-	-	-	(40)
შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი	(109)	-	-	-	-	(109)
31 დეკემბერი 2020	-	187	770	1,163	555	2,675
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2018	(14)	(102)	(237)	(453)	(271)	(1,077)
ცვეთა	(4)	(44)	(88)	(170)	(114)	(420)
გასვლა	-	17	5	-	18	40
31 დეკემბერი 2019	(18)	(129)	(320)	(623)	(367)	(1,457)
ცვეთა	(3)	(44)	(96)	(165)	(96)	(404)
გასვლა	-	29	-	-	-	29
შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი	21	-	-	-	-	21
31 დეკემბერი 2020	-	(144)	(416)	(788)	(463)	(1,811)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	91	72	164	347	149	823
31 დეკემბერი 2020	-	43	354	375	92	864

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

16. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირი	55,209	51,938
პროცენტი	678	665
	55,887	52,603

ჯგუფის ძირითადი კრედიტორები არიან აქციონერები და ფინანსური ინსტიტუტები.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უგარანტიო თამასუქები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	553	3,513
უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	1,043	2,661
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	25,910	22,200
სავალო ფასიანი ქაღალდები	-	8,000
	27,506	36,374

მოკლევადიანი ვალდებულებები

უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	12,954	9,926
უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	1,085	1,332
უგარანტიო თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,001	4,649
სავალო ფასიანი ქაღალდები	8,341	322
	28,381	16,229
	55,887	52,603

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია შესაბამისი რაოდენობის კლიენტებზე გაცემული სესხები, დეტალებისთვის იხილეთ მე-11 შენიშვნა.

მიღებული სესხების საკრედიტო პირობები შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
უგარანტიო თამასუქები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	აშშ დოლარი	7%	2022	553	3,277
უგარანტიო თამასუქები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	ლარი	13%	2021	-	236
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	13%-16%	2021-2023	38,864	32,126
უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	12%	2022	2,128	3,993
უგარანტიო სესხები დაკავშირებული მხარისგან	ლარი	11%	-	-	3,004
უგარანტიო თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	აშშ დოლარი	5%-10%	2021	3,571	-
უგარანტიო თამასუქები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	ლარი	13%-14%	2021	2,430	1,645
სავალო ფასიანი ქაღალდები	ლარი	14%	2021	8,341	8,322
				55,887	52,603

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხებს ოდენობით 46,637 ათასი ლარი (2019: 32,000 ათასი ლარი) აქვს მცურავი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირებისა და საბაზისო განაკვეთთან.

ჯგუფის მიერ მიღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ნაწილი შეიცავს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მსესხებლებთან აღნიშნულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, მაგრამ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაირღვა სს „პაშა ბანკისგან“ მიღებული 11,000 ათას ლარიანი და სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული 12,910 ათას ლარიანი სესხების შეზღუდვები. აღნიშნული სესხები, გარდა სს „პაშა ბანკისგან“ მიღებული ერთი 1,000 ლარიანი ტრანშისა, იყო გრძელვადიანი და შეზღუდვების დარღვევის გამო დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ჯგუფს კომუნიკაცია ჰქონდა ბანკთან 2020 წელს და მიიღო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაირღვა სს „პაშა ბანკისგან“ მიღებული 10,000 ათას ლარიანი სესხების შეზღუდვები. აღნიშნული სესხები იყო გრძელვადიანი და შეზღუდვების დარღვევის გამო დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ჯგუფს კომუნიკაცია ჰქონდა ბანკთან 2019 წელს და მიიღო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან. დამატებითი

დამატებითი ინფორმაცია მიღებულ სესხებზე წარდგენილია მე-4 შენიშვნაში.

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
31 დეკემბერი 2019	36,373	16,230	52,603
ფულადი ცვლილებები	(4,974)	1,773	(3,201)
არაფულადი ცვლილებები			
პერიოდში დარიცხული პროცენტი	4,246	3,041	7,287
გადაფასების ეფექტი	760	446	1,206
შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი	(1,427)	(581)	(2,008)
განეტვა	(7,472)	7,472	-
31 დეკემბერი 2020	27,506	28,381	55,887

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
31 დეკემბერი 2018	15,865	17,027	32,892
ფულადი ცვლილებები	18,183	(4,238)	13,945
არაფულადი ცვლილებები			
პერიოდში დარიცხული პროცენტი	3,004	1,898	4,902
გადაფასების ეფექტი	283	538	821
განეტვა	(961)	1,004	43
31 დეკემბერი 2019	36,374	16,229	52,603

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების ვალუტისა და ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

17. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

აქციონერები	31 დეკემბერი 2020, %	ტიპი	31 დეკემბერი 2019, %	აქციათა რაოდენობა, 2020	აქციათა რაოდენობა, 2019
სს „სვის ჰოლდინგსი“	48.60%	ჩვეულებრივი	48.60%	1,215,000	1,215,000
ეიალ ელბოიმი	30.00%	ჩვეულებრივი	37.00%	749,880	924,880
ამირ იოელი	17.00%	ჩვეულებრივი	10.00%	425,000	250,000
ალონ ბეჩორი	2.40%	ჩვეულებრივი	2.40%	60,120	60,120
პაატა დაიაური	2.00%	ჩვეულებრივი	2.00%	50,000	50,000
	100.00%		100.00%	2,500,000	2,500,000

ყველა აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 აშშ დოლარი.

საემისიო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს 2,068 ათასი ლარის საემისიო კაპიტალი (2019: 2,068 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს სხვაობას გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალურ ღირებულებასა და მის რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის.

დივიდენდები

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდები, და ასევე, აქვთ ყოველ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება კომპანიის წლიურ და საერთო კრებებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2020 წელს გამოცხადდა და გაიცა 1,257 ათასი ლარის დივიდენდი (2019: 2,370 ათასი ლარი).

აქციონერის სახელი	2020	2019
სს „სვის ჰოლდინგსი“	730	1,339
ეიალ ელბოიმი	282	812
ამირ იოელი	245	219
	1,257	2,370

18. შეწყვეტილი ოპერაციები

2020 წელს ჯგუფმა შპს „ზიპ კრედიტ“-ზე 99 ათას ლარად გაასხვისა შემდეგი შვილობილი კომპანიები: შპს „სვის კაპიტალ ავტო“, შპს „სვის კაპიტალ პლუს“ და შპს „სვის კაპიტალ ფროფერტი“. შვილობილი საწარმოების გასვლა გამოიწვია მათმა არასასურველმა შედეგებმა, რომელიც არ შეესაბამებოდა ხელმძღვანელობის მოთხოვნებს.

შვილობილი კომპანიების გასვლის შედეგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	15.12.2020
მიღებული ფულადი კომპენსაცია	-
მიღებული სხვა კომპენსაცია	99
ფულადი სახსრების გასვლა	(7)
წმინდა მიღებული კომპენსაცია	92
<i>გასული წმინდა ვალდებულებები (ფული და ფულის კვივალენტების გარდა):</i>	
სხვა აქტივები	(1,316)
საგადასახადო აქტივი	(107)
ძირითადი საშუალებები	(88)
მიღებული სესხები	2,337
სხვა ვალდებულებები	138
წმინდა ვალდებულებების გასვლა	964
შვილობილების გასხვისების შედეგი	1,056

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

18. შეწყვეტილი ოპერაციები (გაგრძელება)

შეწყვეტილი ოპერაციების შედეგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<u>2020</u>	<u>2019</u>
საპროცენტო შემოსავალი	108	217
საპროცენტო ხარჯი	(168)	(199)
ხარჯები გარდა საპროცენტო ხარჯისა	(117)	(133)
სესხის გაუფასურება	(159)	(760)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	1,056	-
წლის მოგება/(ზარალი)	<u>720</u>	<u>(875)</u>

შეწყვეტილი ოპერაციების ფულადი ნაკადების მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<u>2020</u>	<u>2019</u>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	75	35
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(237)	(335)
წმინდა ფულადი სახსრების გასვლა შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად	<u>(162)</u>	<u>(300)</u>

19. საწარმოთა გაერთიანება

2019 წლის პერიოდში ჯგუფმა შეიძინა გაცემული სესხების პორტფელი, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო ოქროთი. ჯგუფმა პორტფელი სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტისგან შეიძინა სხვადასხვა დროს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

- სს “თიბისი ბანკი” (შპს „ჯაბა კრედიტისთვის“ ჩამორთმეული სესხები) 4 და 11 ივლისი 2019;
- შპს „სწრაფი კრედიტი“ 4 ოქტომბერი 2019;
- შპს „ლარი კრედიტი“ 3 დეკემბერი 2019;
- შპს „იმედი-კრედიტ 2018“ 27 დეკემბერი 2019;

ამ შეძენის ძირითადი მიზეზი იყო ახალი პროდუქტის გამოშვება - სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია ოქროთი და ამ გზით ოპერაციების მასშტაბის ზრდა. მანამდე ჯგუფს არ ჰქონდა გამოცდილება ასეთი პროდუქტების მიმართ, ამიტომ ამ ოპერაციით ჯგუფმა შეძლო საკმარისი ცოდნისა და რესურსების მიღება. შეძენილი პორტფელის საშუალებით, ჯგუფმა მიიღო საჭირო პერსონალი, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი ცოდნა ასეთ პროდუქტთან მუშაობის. გარდა ამისა, ჯგუფმა გადმოიბარა საოფისე იჯარებიც.

შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება, შესყიდვის ღირებულება და გუდვილი შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი (გასათვალისწინებელია, რომ რეალური ღირებულება არ იქნა გამოყენებული ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, რომლებსაც მოითხოვება შეფასების სხვა საფუძველი, მაგ. იჯარები):

	<u>წმინდა ღირებულება</u>	<u>კორექტირება</u>	<u>რეალური ღირებულება</u>
გაცემული სესხები	20,082	3,230	23,312
აქტივების გამოყენების უფლება	-	798	798
საიჯარო ვალდებულებები	-	(798)	(798)
	<u>20,082</u>	<u>3,230</u>	<u>23,312</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

19. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

გუდვილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	თანხა
ფული	22,908
გადავადებული ანაზღაურება	404
	<hr/>
სულ ვალდებულება	23,312
შემცირებული შემენილი აქტივებითა და დაკისრებული ვალდებულებებით	(23,312)
გუდვილი	-

20. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის გაკეთდა წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არე	2019	რეკლასიფიკაცია	2019 შეცვლილი
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,739)	6,739	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(5,176)	(5,176)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(1,563)	(1,563)

21. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან ჯგუფის მომავალ ოპერაციებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

2018 წლის 5 ივლისს სებ-ის პრეზიდენტმა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს 2020 და 2019 წლებში, გარდა კოეფიციენტისა - უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების შეფარდება ვალდებულებებთან, რომელიც დაირღვა 2020 წელს. ჯგუფმა სებ-სიგან მიიღო პატიების წერილი, რომლის თანახმადაც ჯგუფი ვალდებულია 2021 წლის 31 აგვისტომდე დააკმაყოფილოს აღნიშნული კოეფიციენტი. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პირობების დაკმაყოფილების შესახებ მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე და შესაძლოა განსხვავდებოდეს მარეგულირებლის მსჯელობისაგან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით ჯგუფს მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შესაბამისობა ჯგუფისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და საქმიანობის შესაძლო შეწყვეტას. ჯგუფი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ შეზღუდვებს რიგ გამსესხებლებთან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-16 შენიშვნა.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;
- ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
მიღებული სესხები	16	2,128	-
საპროცენტო ხარჯი	5	(379)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	-	(342)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარეები
მიღებული სესხები	16	3,993	-
საპროცენტო ხარჯი	5	(555)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	-	(426)

დირექტორებისა და ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო:		
- მოკლევადიანი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს ხელფასებსა და ბონუსებს	(2,262)	(1,958)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გაცემამდე კომპანიამ აიღო დამატებითი სესხები სს „თიბისი ბანკსგან“ ჯამური ოდენობით 12,620 ათასი ლარი, რომელთა საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7.75%+სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი. სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენდა 1/1.05 კოეფიციენტის ოდენობის ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები.

2021 წლის 30 მარტს კომპანიამ შეისყიდა ლომბარდული სესხების პორტფელი ოდენობით 7,487 ათასი ლარი შპს „სოფთ ლოუნ“-ისგან. დამატებით მოხდა ამ კომპანიასთან დაკავშირებული ბიზნესის შექმნაც, რომელიც მოიცავდა საიჯარო სივრცეს და არსებული თანამშრომლების გადმოსვლას.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ლარი/აშშ დოლარი-ს გაცვლითი კურსი იყო 3.2766 და 2.8677, შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-ის შესაბამისად ჯგუფი თავის ფინანსურ აქტივებს წარადგენს ბიზნეს მოდელზე დაყრდნობით. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ასევე აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა წარმოებული ფინანსური აქტივებისა.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჯგუფმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ჯგუფმა გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნესმოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნესმოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია FVTPL-ში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც FVTPL, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება (ე.ი. ამოღებულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ECL -ის საფუძვლები

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ჯგუფის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან FVOCI-ი.

ფასს 9 მოთხოვნები გაუფასურებაზე არ ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შემენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფი ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1 ეტაპი: ჯგუფი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ჯგუფი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ჯგუფი აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადაანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
ავტომობილი	0-30	31-90	>90
ოქრო	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

ჯგუფი ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) სესხის რესტრუქტურირება;
- გ) მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
- დ) მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- ე) მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- ვ) მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;
- ზ) ბიზნესის იმ სექტორის მნიშვნელოვანი გაუარესება, სადაც საქმიანობს მსესხებელი.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ა) ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
 - ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.
- რესტრუქტურირებული სესხები არ ბრუნდებიან 1-ელ ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მათი დაბრუნება სხვა ეტაპებზე აღარ ხდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- გ) უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- დ) ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია (ეხება ბიზნეს სესხებს).

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით ვადაცილების შესახებ.

ჯგუფი დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

გაცემული სესხის რესტრუქტურირება

რესტრუქტურირაციის ოპერაცია/ტრანზაქცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში. ჯგუფსა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და პროგრამულად იმავე სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება (გადაანგარიშება).

ჯგუფისთვის სესხის რესტრუქტურირაცია რისკის ცვლილების მაჩვენებელია. რესტრუქტურირებული სესხები არ ექვემდებარება პირდაპირ მე-3 სტადიაში გადაყვანას, რადგან ასეთი ტიპის მოდიფიკაციები არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან. შესაბამისად, რესტრუქტურირებული სესხები მე-2 სტადიაში ხვდება და პირველ სტადიაში აღარ ბრუნდება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ჯგუფის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

არ არსებობს არასასურველი არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების ზარალი 12 თვიანი PD-დან არსებობის მანძილის PD-ზე გადასვლის დროს.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ჯგუფმა გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი. გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

საპროგნოზო ინფორმაციის განჭვრეტა

ჯგუფი ბოლო 5 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველწლიურად აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.3-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

ჯგუფი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ამათგან საბაზო სცენარს ანიჭებს 50%-ან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს 25%-ან ალბათობებს. ჯგუფი იყენებს ვასიჩეკის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას, მოსალოდნელი დეფოლტის დაანგარიშების დროს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ქონდა ადგილი ძლიერ კორელაციას ჯგუფის დეფოლტის კოეფიციენტებსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის, ამიტომ ჯგუფს არ აქვს გათვალისწინებული ეს ფაქტორები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დაანგარიშებისას.

	2020	2021	2022
რეალური მშპ-ის ზრდა, %			
საბაზისო სცენარი	(4.00)%	4.50%	5.00%
ოპტიმისტური სცენარი	(3.00)%	6.00%	5.00%
პესიმისტური სცენარი	(9.00)%	2.50%	4.00%
ინფლაცია, %			
საბაზისო სცენარი	4.50%	1.50%	2.50%
ოპტიმისტური სცენარი	5.50%	4.00%	3.00%
პესიმისტური სცენარი	7.00%	2.00%	2.50%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიამ წარმოადგინა მგრძობელობის ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, თუ გამოთვლებში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები შეიცვლება 15%-ით.

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ჯამურად ყველა ტიპის სესხებისთვის, თუ გამოყენებული დაშვებები თანმიმდევრული და მჭიდროდ დაკავშირებული იქნება მაკროეკონომიკურ სცენარებთან. ეს მოიცავს ოპტიმისტურ და პესიმისტურ 15%-იან ცვლილებებს გამოთვლებში გამოყენებული დაშვებებისთვის. მომავალი სცენარები გამოიყენება საშუალო შეწომილი ალბათობებისთვის და შეიცვლება მომავალში რეალური სცენარების შესაბამისად.

15%-იანი პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ საკრედიტო ზარალები შეადგენს დაახლოებით 16,283 ათას, ხოლო ოპტიმისტური 15%-იანი სცენარის შემთხვევაში კი 12,035 ათას ლარს.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ჯგუფი იყენებს ბოლო 5 წლის სტატისტიკას ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ 2 წლისა. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სემენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი კალათიდან მეორე კალათაში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

კალათი	ვადაგადაცილებული დღეები	რესტრუქტურისაგის სტატუსი	ეტაპი
1	დახურული		
2	0	არა	I
3	1-30	არა	I
4	31-60	არა	II
5	61-90	არა	II
6	0-90	დიახ	II
7	>90	დიახ	III
8	>90	არა	III

ჯგუფის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს). დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 5 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ჯგუფმა შეაფასა რომელი ბიზნესი მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 13 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქია:

- **დონე 1:** მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები;
- **დონე 2:** სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც შეფასებულია მე-2 დონით რეალური ღირებულების იერარქიაში, მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სხვა აქტივებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს და შეფასებული არიან ამორტიზებული ღირებულებით. სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური იჯარა

ფინანსური აქტივი აღიარდება ფინანსურ იჯარად, როდესაც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს ან არა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური იჯარა, მეიჯარისათვის, ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად წარსდგება, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციების ტოლი თანხით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, რამდენადაც, აქტივის იურიდიულ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა, მისაღები საიჯარო გადასახდელები მეიჯარის პოზიციიდან განიხილება, როგორც ძირითადი თანხის დაფარვა და გარკვეული შემოსავლების მიღება, როდესაც მას აუნაზღაურდება და ეკონომიკური სარგებლის სახით დაუბრუნდება ჩადებული ინვესტიცია და მომსახურება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავლის აღიარება უნდა ეფუძნებოდეს ფინანსურ იჯარაში მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციების უკუგების, მუდმივი პერიოდული განაკვეთის ამსახველ მოდელს. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელი, მომსახურების დანახარჯების გამოქვითვით, მიმართულია მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის საპირისპიროდ, როგორც ძირითადი თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებისაკენ.

უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია გულისხმობს აქტივის გაყიდვას და იმავე აქტივის იჯარის გზით უკან დაბრუნებას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საიჯარო ქირა და აქტივის გასაყიდი ფასი ურთიერთდამოკიდებულია, რადგან ისინი განიხილება, როგორც ერთიანი პაკეტი. აქტივის გაყიდვის და მისი იჯარით უკან დაბრუნების ოპერაციის აღრიცხვის წესი დამოკიდებულია იჯარის ტიპზე.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, გაყიდვიდან ამონაგები თანხის არანაირი ნაშთი მის საბალანსო ღირებულებაზე არ შეიძლება გამყიდველ-მოიჯარის მიერ მაშინვე აღიარდეს შემოსავლის სახით. სანაცვლოდ, იგი აისახება გადავადებული შემოსავლების სახით და თანდათანობით ამორტიზდება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვა არის ფინანსური იჯარა, ოპერაცია წარმოადგენს მეიჯარის მიერ მოიჯარის ფინანსური სახსრებით მომარაგებას, ხოლო აქტივი მის უზრუნველყოფას. ამიტომ არ შეიძლება აქტივის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები თანხის მეტობა მის საბალანსო ღირებულებაზე აღიარდეს შემოსავლის სახით. ეს ნაშთი გადავადდება და ამორტიზდება იჯარის ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ჯგუფი კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისთვის ქმნის შესაძლო დანაკარგების რეზერვს. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოიყენება Standard & Poor’s-ის მიერ ფინანსური ინსტიტუტისათვის მინიჭებული რეიტინგი და ამ რეიტინგის შესაბამისი დეფოლტის ალბათობა. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს ტესტირებას, იმისათვის რომ განსაზღვროს რამდენად ზუსტად ასახავს რეალობას IFRS 9-ის ფარგლებში დათვლილი დეფოლტის ალბათობა და ასევე, ერთი წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ამისათვის იყენებს მოდელის PD-ის ისტორიულ მონაცემებს. ტესტის შედეგები მიიჩნევა მისაღებად თუ ისტორიული დეფოლტის განაკვეთსა და მოდელის PD-ის შორის სხვაობა არ აღემატება ერთ სტანდარტულ გადახრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფი ადგენს გადახრის გამომწვევ მიზეზებს და ამ მიზეზების ბუნების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს მაკორექტირებელ ქმედებებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდის კონტრაქტებსა და სავალურო სვოპ-ოპერაციებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები

მიღებული სესხები და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. მათი შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფი ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

გირაოში დარჩენილი აქტივები

გირაოში დარჩენილი აქტივები მოიცავს არაფინანსურ აქტივებს, რომელიც ჯგუფმა მიიღო ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. ამ აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი აღრიცხვა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. გირაოში დარჩენილი აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია მარაგებად, შეფასებულია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

მომდევნო ხარჯები მიეკუთვნება აქტივის თვითღირებულებას ან აღიარებულია განცალკევებულ აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივისგან ჯგუფი ელოდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ფასის განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. მოცილებული ნაწილის ღირებულება კი აკლდება ამ აქტივის თვითღირებულებას. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
ავტომობილები	5
ავეჯი	5
აპარატურა და მოწყობილობები	3-6
იჯარის გაუმჯობესება	4-7

მიმდინარე ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალურ აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვს 7 წლით და ძირითადად წარმოადგენენ დაკაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება იმ გაწეული დანახარჯების მიხედვით, რაც გაიწევა პროგრამების შესასყიდად და მათ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. სხვა ყველა კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯი, მაგალითად, მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც არის განხორციელებული. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად შვიდი წლის განმავლობაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის ჯგუფი გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფი იყენებს ფასს 3 – „საწარმოთა გაერთიანებას“ იმ ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ, რომელიც ქმნის საწარმოს. ყოველი ოპერაციისთვის ჯგუფმა უნდა განსაზღვროს შემენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები ჯგუფს გადასცემს თუ არა კონტროლს იმ რესურსებსა და პროცესებზე, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რომ შექმნას პროდუქტი.

ჯგუფი საწარმოთა გაერთიანებას აღრიცხავს კაპიტალ მეთოდით.

შესყიდვის თარიღში ჯგუფი გუდვილისგან განცალკევებულად აღიარებს და აფასებს იდენტიფიცირებად აქტივებს, ნაკისრ ვალდებულებებსა და არამაკონტროლებელ წილს საწარმოში, შესყიდვის მომენტისთვის არსებული რეალური ღირებულებით.

შესყიდვის ღირებულება შეფასებულია შესყიდვის თარიღში გადახდილი კომპენსაციის რეალური ღირებულებით, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის გათვალისწინებით.

საწარმოს შესყიდვის თარიღისთვის ჯგუფი მიღებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აფასებს და წარადგენს სახელშეკრულებო პირობებისა და ეკონომიკური გარემოებების შესაბამისად.

ნებისმიერი სხვაობა გადახდილ კომპენსაციასა და შესყიდვის წმინდა ღირებულებას შორის, ანუ შესყიდვის თარიღში შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის აღიარებულია გუდვილად ან ხელსაყრელ შესყიდვად.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სხვა რეზერვები და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივ აქციებისა და ოპციონების გამოშვებასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯები აკლდება კაპიტალს, ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

როდესაც სააქციო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ღირებულებას (ნომინალური ღირებულება) და რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში.

სხვა რეზერვები წარმოადგენს ჯგუფის მიერ გამოცემულ აქციებს, რომლებიც გადაეცათ უკვე არსებულ აქციონერებს სააქციო კაპიტალში წილის გასაზრდელად.

ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში.

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩართვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

საპროცენტო შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებულ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პუნქტში „საპროცენტო შემოსავლის აღიარება“.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის ჯგუფის კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- ა) წარმოადგენს ჯგუფის განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.

საწარმომ შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შემოსულობა და ფულადი ნაკადები უნდა წარმოადგინოს განგრძობითი ოპერაციებისგან მიღებული შედეგებისგან განცალკევებით.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

*საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს*

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

შინაარსი:

კომპანიის მოკლე მიმოხილვა.....	54
2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....	54
კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები	54
კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა	55
რეგულაციები	56
პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები	57
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	58
ვალდებულებები და დაფინანსება	58
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები	59
ძირითადი რისკები და მართვა	60
2021 წლის გეგმების შეჯამება	62

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

კომპანიის მოკლე მიმოხილვა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ 2009 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმით. თავდაპირველად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2010 წელს სვის კაპიტალი დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. შესაბამისად, კომპანია ანგარიშვალდებულია მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს საფინანსო სფეროში მოქმედი სხვა არარეგულირებულ იურიდიულ პირებთან შედარებით მკაცრ რეგულაციას.

კომპანიის ეფექტურმა მართვამ უზრუნველყო კომპანიის განვითარება, მისი სტაბილურ და ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება. 2011 წელს კომპანიამ შეიცვალა სამეწარმეო ფორმა და ჩამოყალიბდა, როგორც სააქციო საზოგადოება. 2011 წლის ნოემბერში განხორციელდა კომპანიის კაპიტალის გაზრდა აქციათა გამოშვების გზით. კაპიტალის შემდგომი ზრდა აქციათა გამოშვების გზით განხორციელდა 2013 წელს.

2020 და 2019 წლების ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები წარმოდგენილნი არიან როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირებით (იხ. ცხრილი).

აქციონერები	31 დეკემბერი 2020, %	31 დეკემბერი 2019, %
სს „სვის ჰოლდინგს“	48.60%	48.60%
ეიალ ელბოიმი	30.00%	37.00%
ამირ იოელი	17.00%	10.00%
ალონ ბეჩორი	2.40%	2.40%
პაატა დაიაური	2.00%	2.00%
	100.00%	100.00%

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ მმართველობა ხორციელდება აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა არის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. კომპანიის მმართველობა იაზრებს, რომ სწორად მოწყობილ სტრუქტურას შეუძლია კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. მართვის პროცესში გამჭვირვალობა და ინფორმაციის ღიაობა არის კომპანიის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

2020 წელს კომპანიის დასაქმებულთა რიცხვი საშუალოდ 315 ადამიანი იყო. მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით 2020 წელს კომპანია კვლავ აგრძელებდა მუშაობას დანერგილი სტანდარტით, რომლის ძირითადი პრინციპებია შეჯიბრებითობა და კონკრეტული ვაკანსიისათვის ადეკვატური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევა. კომპანიის მიერ დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების დადება ხდება ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, რაც შესაბამისობაშია შრომის მოქმედ კანონმდებლობასთან.

2020 წლის განმავლობაში კომპანიაში მოქმედი ტრენინგ-ცენტრის მეშვეობით გადამზადდა 41 ახალი თანამშრომელი სატელეფონო ცენტრის, ბიზნეს დაკრედიტებისა და ავტო სესხების მიმართულებით, ასევე 20-მდე ოქროს ექსპერტი და 105-მდე არსებული თანამშრომელი, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგები პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების ამაღლებისა და სპეციფიკური საკითხების ცოდნის გაღრმავების მიზნით, რაც მათ ეხმარება სწრაფად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის შედეგი და ხარისხი, აიმაღლონ კვალიფიკაცია. დიდი ყურადღება ეთმობოდა დასაქმებულების პროფესიონალიზმს, მათ მიერ სტაბილურად მაღალი შედეგების მიღწევას, მიზანმიმართულობას განვითარებისა და ინოვაციების დანერგვისაკენ.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გავრძელება)

კომპანიაში არსებულ თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების ტენდენციის შესაბამისად, 2020 წელს კომპანიამ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენა საგანმანათლებლო მეთოდოლოგია, ონლაინ ტრენინგების, ტესტირებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის სამართლიანი პირობების არსებობას, რაც გულისხმობს ორივე სქესის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი თავის გამოვლენის-წარმოჩინების თანაბარი შესაძლებლობა, თანაბარ ანაზღაურებასთან ერთად.

კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელს კომპანიისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ვირუსის - კოვიდ-19-ის გავრცელებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საოპერაციო პროცესების ეფექტურად განხორციელებასა და ადამიანური რესურსების მობილიზების მიმართულებით. კერძოდ, კომპანიამ ფილიალებში მორიგეობის დაწესების მიზნით აიყვანა დამატებითი კადრები; საოპერაციო პროცესების უმეტესი ნაწილი გადავიდა დისტანციურ მომსახურებაზე; დაემატა ანგარიშსწორების განხორციელების დისტანციური არხები.

პანდემიის პერიოდში კომპანიამ შექმნა სპეციალური ერთეული მომხმარებლისთვის სესხებზე საშეღავათო პირობების შემუშავება-შეთავაზების მიზნით. კომპანიის მიერ განსაზღვრული პოლიტიკით, მომხმარებელს შეეძლო ესარგებლა მასზე მორგებული რამდენიმე ალტერნატიული საშეღავათო პირობით:

- სესხზე დარიცხული სარგებლის გადავადება მინიმუმ 1, მაქსიმუმ 3 თვის ვადით;
- სესხის ყოველთვიური შენატანის შემცირება სესხის არსებული ვადის გაზრდის გზით;
- სესხის ყოველთვიური შენატანის შემცირება სესხზე დარიცხული მხოლოდ სარგებლის გადახდის გზით.

ახალი რეალობის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების მიუხედავად, სწორად დაგეგმილმა პროცესებმა უზრუნველყო, როგორც კომპანიის მიერ დასახული გაყიდვების მაჩვენებლების მიღწევა, ასევე ახალი პროდუქტის - სავალუტო ოპერაციების დანერგვა.

ფილიალების ჭრილში საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების მომსახურების შეთავაზება შემდეგნაირია:

	უპრავი ქონებით უზრუნველყოფილი	ავტომობილით უზრუნველყოფილი	ბიზნეს სესხი	ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი	სავალუტო ოპერაციები
პეკინი	✓	✓	✓	✓	✓
გლდანი	✓	✓			
ვარკეთილი	✓	✓			
დიდუბე	✓	✓	✓		
დიღომი		✓			
გორი		✓	✓		
ქუთაისი		✓	✓	✓	✓
ზუგდიდი		✓	✓		
ბათუმი	✓	✓	✓	✓	✓
რუსთავი		✓			
თელავი		✓	✓		
გლდანი ს/ც			✓	✓	✓
დადიანი ს/ც				✓	✓
დიდუბე ს/ც				✓	✓
ისანი ს/ც				✓	✓
ვარკეთილი ს/ც			✓	✓	✓
ყაზბეგი ს/ც				✓	✓
ფონიჭალა ს/ც				✓	✓
დიღმის მასივი ს/ც		✓		✓	✓

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კომპანიის ქსელური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით. კომპანიამ შეისყიდა თანამედროვე ტიპის მოწყობილობები, რომლის საშუალებითაც გაძლიერდა დაცვის სისტემა და გამოირიცხა სისტემაში არასანქცირებული შეღწევის შესაძლებლობა. ამჟამად კომპანიის ქსელური ტოპოლოგია თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე არსებული პროცესები გაუმჯობესდა და მაქსიმალურად ავტომატიზირებული გახდა. აღნიშნული მოიცავს:

- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს - პირის შავ სივრცეში გადამოწმება, პირის ვერიფიკაცია სანდო და დამოუკიდებელი წყაროს საშუალებით (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო), პირისათვის რისკის მინიჭება, რეპორტირება გეგმიური და რეგარეშე მონიტორინგის განხორციელების მიზნით და სხვა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება №143/04-ის მოთხოვნას - მსესხებელთა ჯგუფის ავტომატურად გამოვლენა და მათთვის თანხობრივი ლიმიტის (100,000 ლარი) დაწესება.

2020 წელს Scope Ratings-მა კომპანიის საკრედიტო რეიტინგი ერთი საფეხურით „B“-დან „B“-მდე გაზარდა. კომპანია გეგმავს აღნიშნული რეიტინგის გაუმჯობესებას.

რეგულაციები

2020 წელს განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების მიმართულებით:

- ამოქმედდა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების ახალი რედაქცია, რომელმაც ძალადაკარგულად ცნო მანამდე მოქმედი კანონმდებლობა. ბრძანება განსაზღვრავს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს და სესხის გაცემისას აზუსტებს გადახდისუნარიანობის ანალიზის მნიშვნელობას;
- დამტკიცდა „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესი“. აღნიშნული ბრძანება ადგენს ბაზრის მანიპულაციის თავიდან აცილების მექანიზმებს, განსაზღვრავს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას, ადგენს მოთხოვნებს ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებით;
- დამტკიცდა „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესი“, რომელმაც გააუქმა მანამდე მოქმედი ნორმატიული აქტები. წესი განსაზღვრავს მოთხოვნებს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის შესახებ პერიოდული ინფორმაციის გამჭვირვალობის, მიმდინარე ინფორმაციის, მათ შორის, წილობრივი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობის და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის შესახებ;
- დამტკიცდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“, რომლითაც განისაზღვრება იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით მოსაპოვებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტები და მათი აღრიცხვის, განახლების, დამოწმებისა და შენახვის წესი;
- სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საფინანსო დაწესებულებებს აეკრძალათ არასრულწლოვანი პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ან/და მოძრავი ქონების სანივთო სამართლებრივი უფლებით დატვირთვა სასამართლოს თანხმობის გარეშე.

ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სვის კაპიტალმა 2020 წლის განმავლობაში უზრუნველყო, როგორც ახალი პოლიტიკა/პროცედურების შემუშავება, ისე არსებული პროცედურების დახვეწა.

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო პროგრამის განახლება და დამატებითი პროგრამული პლატფორმების დანერგვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ფულის გათეთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. კერძოდ, შემცირდა კონტროლის პროცედურებში ადამიანური რესურსის ფაქტორი და პროგრამულ დონეზე დარეგულირდა რისკის მართვის პროცედურები.

პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები


სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ 2020 წლის მდგომარეობით წარმოადგენს მიკროსაფინანსო სექტორის 7.9%-იანი¹ წილის მფლობელ ორგანიზაციას ჯამური აქტივებით, რომლის ძირითად ნაწილს (84%) სასესხო პორტფელი შეადგენს.

მიუხედავად არსებული რისკებისა და გამოწვევებისა, კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში განაგრძო ზრდა, რაც გროს სასესხო პორტფელის 9%-იან მატებაში გამოიხატა. საერთო ჯამში, 2020 წელს, დაფიქსირდა კომპანიის ჯამური აქტივების 12%-იანი მატება.

2021 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს სასესხო პორტფელის 29%-იან ზრდას. ზრდაში გათვალისწინებულია, რომ ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხები დარჩება კომპანიის სტრატეგიულ და ძირითად პროდუქტად. ასევე, იგეგმება მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებისა და ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების მიმართულებით მნიშვნელოვანი გააქტიურება.

2020 წლის განმავლობაში კომპანია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი საკრედიტო პროდუქტებით:

- ა. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი;
- ბ. ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხი;
- გ. ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხი;
- დ. ბიზნეს სესხი.




¹ წილის დათვლის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები 2020 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით.

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=703>

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის უზრუნველყოფას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. გარდა ამისა, კომპანია გასცემს ბიზნეს სესხებს უზრუნველყოფის გარეშე. ბიზნეს სესხები გაიცემა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე.

უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით კომპანიის სასესხო პორტფელის სტრუქტურა შემდეგნაირია:



სვის კაპიტალის სტრატეგიული მიზანია პორტფელის აქტიურ ზრდასთან ერთად ვადაგადაცილების შედარებით მუდმივი მაჩვენებლების შენარჩუნება. 2020 წლის მდგომარეობით 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხები შეადგენს მთლიანი პორტფელის 14%-ს. წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა/გასხვისება არ განხორციელებულა.


ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის აქტივების ზრდის დაფინანსების წყაროებია კაპიტალი, ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, ობლიგაციები, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები და თამასუქები. 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს მისი აქტივების 46%-ს. კაპიტალის ადეკვატური მოცულობით შენარჩუნების მიზნით კომპანიაში მოქმედებს შემდეგი ორი ძირითადი წესი:

- კომპანიის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მისი აქტივების არანაკლებ 30%-ს. აღნიშნულ ზღვართან მიახლოების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია მისი აქტივების ზრდა დააფინანსოს მხოლოდ ახალი აქციების ემისიის, აქციონერებისგან სუბორდინირებული სესხების ან სხვა დაფინანსების მიღების ხარჯზე;
- კომპანიის დივიდენდის განაწილების პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიას შეუძლია დივიდენდის სახით განაწილოს მოგების არაუმეტეს 40%-ისა.

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასესხო დაფინანსების ნაწილში კომპანიის მიზანს წარმოადგენს ახალი სესხების საბანკო დაწესებულებებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუციებიდან მოზიდვა, დამატებით ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების გეგმაზომიერი შემცირება. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, კომპანიის დაფინანსების (გარდა კაპიტალისა) სტრუქტურა შემდგენიარად გამოიყურება:



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები²

	2018	2019	2020
საერთო საპროცენტო შემოსავალი	34,519	28,199	30,516
წმინდა ფინანსური შემოსავალი	30,384	23,097	22,943
საოპერაციო დანახარჯები საერთო შემოსავლებთან %	20.1%	22.3%	18.1%
პერსონალის ხარჯები საერთო შემოსავლებთან %	17.8%	21.9%	22.2%
წმინდა მოგების % (წმინდა მოგება/ საერთო შემოსავლებთან)	28.1%	21.1%	25.4%
უკუგება საშუალო აქტივებზე % ³	13.8%	7.1%	7.5%
უკუგება საშუალო კაპიტალზე % ⁴	24.7%	14.2%	16.5%

2020 წელს კომპანიის საერთო საპროცენტო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 8.2%-ით გაიზარდა და 30.52 მილიონი ლარი შეადგინა. 2020 წლის წმინდა ფინანსური შემოსავლის (საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები) მაჩვენებელი 22.94 მილიონი ლარია და 0.15 მილიონი ლარით ნაკლებია წინა წლის იგივე მონაცემზე. ადმინისტრაციული და პერსონალზე გაწეული ხარჯები საერთო შემოსავლების 18.1% და 22.2%-ს შეადგენს, შესაბამისად. წმინდა მოგება კომპანიის შემოსავლების 25.4% შეადგინა, მაშინ როდესაც 2019 წელს იგივე მაჩვენებელი 21.1% იყო.

² კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდგენიარად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს შემოსავლები საკომისიოებიდან და პირგასამტეხლოებიდან.

³ უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან.

⁴ უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) - წლიური წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ მფლობელთა კაპიტალთან.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 წლის აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი შეადგენს 7.5% და 16.5%-ს, რაც წინა წლის ანალოგიურად საგრძნობლად აღემატება მიკროსაფინანსო სექტორის საშუალო მაჩვენებლებს (3.2% და 9.3% შესაბამისად).

2020	სვის კაპიტალი	მიკროსაფინანსო სექტორი ⁵
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	7.5%	3.2%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	16.5%	9.3%

ძირითადი რისკები და მართვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების იმ ძირითადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვას, რომელთა მიმართაც კომპანიის ოპერაციები სენსიტიურია და რომელმაც შესაძლოა, მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რისკების ამ ჯგუფების მართვისა და მიტიგაციის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და პროცედურები, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები.

რისკის ტიპი	პასუხისმგებელი ერთეული	მართვის მექანიზმი
საოპერაციო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო /რეგულაციების რისკები	საოპერაციო და რისკების დეპარტამენტები	საკანონმდებლო სიახლეების მუდმივი მონიტორინგი; ახალი და არსებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან; კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი შიდა ნორმატიული აქტების, პროცედურებისა და წესების შემუშავება და მუდმივი განახლება; ოპერაციების, ტრანზაქციებისა და დოკუმენტაციის რეგულარული ანალიზი და აუდიტი; ავტორიზაციის დონეები, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

⁵ წილის დათვლის მიზნებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები 2020 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით.

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=703>

2020 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალუტო	ფინანსური დეპარტამენტი	<p>უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პერიოდული შეფასება და ღია სავალუტო პოზიციების დადგენა;</p> <p>ღია სავალუტო პოზიციების ჰეჯირება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით: დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები, სავალუტო სვოპები და ფორვარდები;</p> <p>ლარში ნომინირებული დაფინანსების წილის ზრდა სასესხო ვალდებულებებში და დოლარული ვალდებულებების მინიმიზაცია.</p>
ლიკვიდურობა	ფინანსური დეპარტამენტი	<p>ფულადი ნაკადების (შემოსავლებისა და გასავლების) შეფასება როგორც საოპერაციო, ასევე გრძელვადიან ჰორიზონტებზე;</p> <p>ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის იმგვარი მართვა და სტრუქტურირება, რომ ფულადი გასავლების გათვალისწინებით დაცული იყოს ფულის თავისუფალი ნაშთის დადგენილი რეზერვები;</p> <p>მსხვილი ფულადი გასავლებისთვის ფულადი სახსრების დადგენილი წესით წინასწარი მობილიზების უზრუნველყოფა;</p> <p>სუბორდინირებული სესხებისა და სხვაგვარად მოქნილი ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით თანხების მოზიდვა დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეებისგან.</p>
საპროცენტო	საოპერაციო და ფინანსური დეპარტამენტები	<p>ბაზრისთვის ხარისხიანი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება კანონმდებლობით ნებადართულ კონკურენტულ საბაზრო ფასად;</p> <p>დემპინგური და რისკებთან შეუსაბამო ფასებისა და ფასდათმობებისთვის თავის არიდება;</p> <p>ფინანსირების განაკვეთის შემცირებაზე მუდმივი მუშაობა, კრედიტორებისა და მოზიდული სახსრების ტიპების დივერსიფიკაცია;</p> <p>დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ალტერნატივების შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის ფლობა.</p>

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2021 წლის გეგმების შეჯამება

2021 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება. იგეგმება საფილიალო ქსელის გაფართოება ქალაქებში, სადაც უკვე წლების განმავლობაში ოპერირებს სვის კაპიტალი და ასევე იმ რეგიონებში, სადაც ამჟამად კომპანია არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იგეგმება დისტანციური მომსახურების არხის დამატება, რაც საშუალებას მისცემს კლიენტს ისარგებლოს კომპანიის პროდუქტებით ფილიალში ვიზიტის გარეშე.

კომპანიის პრიორიტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებული პროდუქტების ჭრილში მომსახურების ხარისხის ზრდა და მომსახურების დროის შემცირება.

კომპანია გეგმავს ახალი არასაკრედიტო პროდუქტის - სწრაფი ფულადი გზავნილების სერვისის დამატებას საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტების ფართო სპექტრი, მომსახურების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები ხაზს გაუსვამს კომპანიის მიზანს იყოს ორიენტირებული თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებზე, სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციისა და ფინანსური რისკების მართვის მიმართულებებს.

2021 წელს კომპანია იცვლის სათავო ოფისს. ახალი ოფისი იქნება დიდუბეში, ექსპო ჯორჯიას შენობაში.

ზემოთაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცმესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

აღმასრულებელი დირექტორი

გივი კერესელიძე

თარიღი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2021 წლის გეგმების შეჯამება

2021 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება. იგეგმება საფილიალო ქსელის გაფართოება ქალაქებში, სადაც უკვე წლების განმავლობაში ოპერირებს სვის კაპიტალი და ასევე იმ რეგიონებში, სადაც ამჟამად კომპანია არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იგეგმება დისტანციური მომსახურების არხის დამატება, რაც საშუალებას მისცემს კლიენტს ისარგებლოს კომპანიის პროდუქტებით ფილიალში ვიზიტის გარეშე.

კომპანიის პრიორიტულ მიმართულებას წარმოადგენს არსებული პროდუქტების ჭრილში მომსახურების ხარისხის ზრდა და მომსახურების დროის შემცირება.

კომპანია გეგმავს ახალი არასაკრედიტო პროდუქტის - სწრაფი ფულადი გზავნილების სერვისის დამატებას საქართველოს მასშტაბით.


კომპანიის არსებული და ახალი პროდუქტების ფართო სპექტრი, მომსახურების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები ხაზს გაუსვამს კომპანიის მიზანს იყოს ორიენტირებული თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებზე, სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციისა და ფინანსური რისკების მართვის მიმართულებებს.

2021 წელს კომპანია იცვლის სათავო ოფისს. ახალი ოფისი იქნება დიდუბეში, ექსპო ჯორჯიას შენობაში.

ზემოთაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამაფრებული კონკურენციის პირობებში.

აღმასრულებელი დირექტორი



17.05.2021

გივი კერესელიძე

თარიღი